სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

12 სექტემბერი, 2023 წ.

ბრძანება N 01-10/105

ბსუ-ს სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების მიერ ბსუ-ს საერთო საცხოვრებელში სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით <u>რეგისტრაციის</u> ვადების განსაზღვრის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15, 66-ე, 66[1]-ე და 69-ე მუხლების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 09 სექტემბრის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ბსუ-ს შინაგანაწესის, ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის №07-01/06 გადაწყვეტილების, **,,ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის წესის** დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 25 ივლისის N01-10/95 ბრძანების (ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 1 აგვისტოს N01-10/82 ბრძანებით), „ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 4 მარტის №01-10/18 ბრძანების, ბსუ-ს საერთო საცხოვრებლის მენეჯერის თემურ გოგიტიძის 2023 წლის 8 სექტემბერის სამსახურებრივი ბარათის (MES 0 23 0001107461, 08/09/2023) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების მიერ ბსუ-ს საერთო საცხოვრებელში თავისუფალი ადგილზე სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით რეგისტრაციისათვის განისაზღვროს 2023 წლის **13 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით** პერიოდი.
2. რეგისტრაცია წარიმართოს შემდეგი წესით:
   2.1. ბსუ-ს პორტალზე რეგისტრირებული **ბსუ-ს სტუდენტები,** ასევე 2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად **ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირები,** ვინც დადგენილ ვადებში გაიარა რეგისტრაცია და გააფორმა ბსუ-სთან ხელშეკრულება, უფლებამოსილნი არიან განახორციელონ **ონლაინ რეგისტრაცია,** რაც გულისხმობს მათ მიერ:

   ა) ბსუ-ს პორტალზე მოდულის ,,ჩემი პროფილი" შემადგენელი ველის <u>,,სოციალური ბარათი"</u> შევსებას/ინფორმაციის განახლებას და შესაბამისი დოკუმენტების ატვირთვას (საცხოვრებელით სარგებლობის უპირატესი უფლების მქონე პირთა გამოვლენის მიზნისათვის);

   ბ) ბსუ-ს პორტალის მოდულში <u>,,რეგისტრაცია საერთო საცხოვრებელში 2023-2024 სასწავლო წლისათვის"</u> რეგისტრაციას (დადასტურება);

2.2. **ბსუ-ს პროფესიული სტუდენტების** მიერ ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად **წარმოდგენილი უნდა იქნეს** ,,ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის წესის" შესაბამისად <u>შევსებული განაცხადის ფორმა</u> (წინამდებარე ბრძანების **N1 დანართი), რომელშიც უნდა მიეთითოს** „ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 4 მარტის №01-10/18 ბრძანების **N1 დანართში** აღნიშნული შეღავათის კატეგორია (არსებობის შემთხვევაში) და წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დოკუმენტი.

3. დაევალოს საერთო საცხოვრებლის მენეჯერს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ერთობლივად, კოორდინირებულად უზრუნველყონ რეგისტრაციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება და სტუდენტთა ინფორმირება. საჭიროების შემთხვევაში ბსუ-ს საერთო საცხოვრებლის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გაგრძელდეს რეგისტრაცია წინამდებარე ბრძანებაში ცვლილების შეტანის გარეშე (განთავსდეს ინფორმაცია ბსუ-ს ვებგვერდზე).

4. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ბსუ-ს საერთო საცხოვრებელში სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით რეგისტრაციის გამოცხადების თაობაზე ტექსტის მომზადება და ბსუ-ს პორტალზე და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის წარდგენა (სამსახურებრივი ბარათის მეშვეობით).

5. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს წინამდებარე ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

6. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს საინფორმაციო დაფებზე.

7. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, რექტორის აპარატს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, ბსუ-ს საერთო საცხოვრებელის მენეჯერს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, პროფესიული პროგრამების მართვის და უწყვეტი განათლების ცენტრს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და იურიდიულ დეპარტამენტს.

8. ბრძანება ძალაში ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე**

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023წლის
12 სექტემბრის N 01-10/105 ბრძანების
დანართი N1

განაცხადი

(ბსუ-ს საერთო საცხოვრებლის ფართით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად)

1. სახელი, გვარი, პირადი ნომერი ----------
;

2. დაბადების თარიღი -- ----------;

3. ტელეფონი ----------

4. ელექტრონული ფოსტა ---------- ;

5. რეგისტრაციის მისამართი ----------;

6. ფაკულტეტი ----------;

7. საგანმანთლებლო პროგრამა და სწავლების წელი (კურსი) ----------
---

8. ფართის სარგებლობის სასურველი პერიოდი ----------;

9. <u>მიუთითეთ (მონიშნეთ) ის ფაქტობრივი გარემოება,</u> რაც შესაძლებლობას მოგცემთ ისარგებლოთ სარგებლობის საფასურში შეღავათით, „ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 4 მარტის №01-10/18 ბრძანების გათვალისწინებით:

---

10. **სხვა ინფორმაცია,** რომელსაც განმცხადებელი არსებითად მიიჩნევს (საერთო საცხოვრებლის წესით გათვალისწინებული კრიტერიუმი, სპეციალური საჭიროება, ჯანმრთელობის მდგომარეობა ან/და სხვა) ----------

განცხადების შევსების თარიღი ----------

ხელმოწერა ----------